უმუშევრობა საქართველოში (2017-2020)

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #128 27.07.2021

აღნიშნულ ბიულეტინში განხილულია 2017-2020 წლებში საქართველოში უმუშევრობის ტენდენცია და COVID-19-ისგან გამოწვეული კრიზისის გავლენა უმუშევრობის დონეზე.

დღემდე საქართველოს ეკონომიკისთვის უმუშევრობა რჩება მნიშვნელოვან პრობლემად, ხოლო საზოგადოებისთვის მთავარ გამოწვევად. წლების მანძილზე, სხვადასხვა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა აჩვენებს, რომ ეროვნულ დონეზე მთავარ პრიორიტეტად სამუშაო ადგილები სახელდება. 2020 წელს, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, გამოკითხულთა 46%-ისთვის მთავარი პრობლემას, კვლავ უმუშევრობა წარმოადგენდა.

COVID-19-ით გამოწვეულ კრიზისამდე, საქართველოში უმუშევრობის დონის შესამჩნევად დაღმავალი ტენდენცია შეიმჩნეოდა. 2017 წლიდან - 2019 წლამდე მაჩვენებელი 21.6%-დან 17.6%-მდე შემცირდა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უმუშევრობის დონის შემცირების პოზიტიური ცვლილება არ ასახულა დასაქმების მაჩვენებელზე, რომელიც მოცემულ პერიოდში უცვლელი იყო. მეტიც, 2017 წლიდან - 2019 წლამდე პერიოდში, სამუშაო ძალაში ჩართული ადამიანების მაჩვენებელი შემცირდა 54.5%-დან 51.8%-მდე. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ უმუშევრობის დონის კლება ამ პერიოდში განაპირობა არა გაზრდილმა ეკონომიკურმა აქტივობამ ან შრომის ბაზრის პოზიტიურმა ცვლილებებმა, არამედ სამუშაო ძალის შემცირებამ.



წყარო: საქსტატი

პანდემიით გამოწვეული კრიზისი სამუშაო ადგილებზეც აისახა. 2020 წელს უმუშევრობის დონე, 2019-თან შედარებით, 0.9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (პპ). მეტიც, 2021 წლის პირველ კვარტალში, კრიზისის უარყოფითი გავლენა შრომის ბაზარზე გაძლიერდა და 2020 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით უმუშევრობის დონემ 3.6 პპ-თი მოიმატა.

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უმუშევრობის დონის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგია შეიმუშავა. აღნიშნული ცვლილებით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან ფერმერები, რომლებიც პროდუქციას საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ. მეთოდოლოგიურმა ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაზარდა უმუშევრობის დონე საქართველოში. კერძოდ, ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, 2017-2020 წლებში უმუშევრობის დონის საშუალო მაჩვენებელმა 19.5% შეადგინა, ხოლო წინა მეთოდოლოგიის მიხედვით იგივე მაჩვენებელი 12.6% იყო.



წყარო: საქსტატი

გასაკვირი არ არის, რომ ახალმა მეთოდოლოგიამ მკვეთრად შეცვალა სოფლად არსებული უმუშევრობის სტრუქტურა და შესაბამისად გამოიწვია უმუშევრობის ზრდა.

როგორც წესი, საქართველოში უმუშევრობის დონე უფრო მაღალია ქალაქში, ვიდრე სოფლად. ძველი მეთოდოლოგიის მიხედვით, ქალაქებსა და სოფლებში არსებულ უმუშევრობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. 2017-2019[4] წლებში, უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი სოფლად 5.5% იყო, ხოლო ქალაქში - 19.8%.

სოფლის მეურნეობაში ჩართული იმ ადამიანების სტატუსის შეცვლამ, რომლებიც არ არიან ორიენტირებულნი კომერციულ საქმიანობაზე ავტომატურად გაზარდა სოფლად უმუშევრობის დონე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შემცირდა ქალაქსა და სოფელს შორის არსებული უმუშევრობის დონის სხვაობა. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, 2017-2019 წლების საშუალო უმუშევრობის დონე სოფლად 16.9%-ს შეადგინა, ხოლო ქალაქში - 21.2%-ს.

პანდემიის გამო, ძნელია ვივარაუდოთ, თუ როგორ შეიცვლება უმუშევრობის დონე უახლოეს მომავალში. საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, პიემსი კვლევით ცენტრთან ერთად ატარებს ყოველკვარტალურ გამოკითხვას და აქვეყნებს BAG დასაქმების ბარომეტრს. აღნიშნული ბარომეტრის მიზანია, ასახოს დასაქმების მხრივ არსებული მდგომარეობა ქვეყანაში და კომპანიების (BAG–ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები) მოლოდინები დასაქმების ცვლილებებთან დაკავშირებით მომდევნო სამი თვის განმავლობაში.

ბოლოდროინდელი BAG დასაქმების ბარომეტრის თანახმად, 2021 წლის მეორე კვარტალში, 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, გამოკითხული კომპანიების 23.3%-მა დასაქმებულთა რაოდენობა გაზარდა, 10.7%-მა შეამცირა, ხოლო 66%-ს არ შეუცვლია.

2021 წლის მესამე კვარტლის მოლოდინები უფრო პოზიტიურია, ვიდრე მეორე კვარტალში დაფიქსირებული ცვლილებები. გამოკითხული კომპანიების 31.4% დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას ელის 2021 წლის მესამე კვარტალში, 64.7% ცვლილებას არ გეგმავს, ხოლო შემცირებას მხოლოდ 3.9% აპირებს.



წყარო: PMC კვლევითი ცენტრი, BAG ინდექსის კვლევა

თუ გავითვალისწინებთ პოზიტიურ მოლოდინებს, 2021 წლის მესამე და მეოთხე კვარტალებში შრომის ბაზარზე მდგომარეობა შეიძლება უკეთესობისკენ შეიცვალოს და უმუშევრობის დონე შემცირდეს. თუმცა, სიტუაცია დიდწილად დამოკიდებულია ვირუსის გავრცელებაზე და მისი გავრცელების პრევენციისთვის შესაძლო შეზღუდვების დაწესებაზე.

საქართველოში უმუშევრობის სტრუქტურის გასაგებად, მნიშვნელოვანია დავაკვირდეთ უმუშევრობის განაწილებას განათლების მიღწეული დონის მიხედვით.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

საქართველოში, 2017-2020 წლებში, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების წილი უმუშევრებს შორის საკმაოდ მაღალი იყო და ის 32%-დან 38%-მდე მერყეობდა.

აღნიშნულ პერიოდში უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე ადამიანების წილი უმუშევართა რაოდენობაში კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, კერძოდ 2017-დან 2020 წლამდე, მათი წილი შესაბამისად, 6 და 4 პპ-თი შემცირდა. მეორე მხრივ, აღმავალი ტენდენციით ხასიათდებოდა საშუალო და საშუალოზე დაბალი განათლების მქონე ადამიანების წილი უმუშევართა რაოდენობაში (შესაბამისად, 9 და 1 პპ-თი გაიზარდა).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2017-2020 წლების საშუალო მაჩვენებლით უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების 9.7% უმუშევარი იყო, ხოლი მათი 28.6% სამუშაო ძალის მიღმა რჩებოდა. შესაბამისად დასაქმების საშუალო მაჩვენებელი 61.7% შეადგენდა, როდესაც 2017-2019 წლებში OECD ქვეყნების იგივე მაჩვენებელი 85.2%[6] იყო.

უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებს შორის უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი და სამუშაო ძალაში ჩართულობის დაბალი დონე შესაძლებელია ორი ფაქტორით იყოს განპირობებული: პირველი, საქართველოს შრომის ბაზარი ვერ ქმნის საკმაო რაოდენობის, ისეთ სამუშაო ადგილებს, რომელიც მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას მოითხოვს და მეორე, განათლების დონე არ შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნას იმ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც საჭიროებენ მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას.



წყარო: საქსტატი, PMC კვლევითი ცენტრის გამოთვლები

კიდევ ერთი ინდიკატორი, რომლის განხილვაც მნიშვნელოვანია უმუშევრობის სტრუქტურის გასაანალიზებლად, არის უმუშევრობის ხანგრძლივობა.

2017-2020 წლებში საქართველოში გრძელვადიანი უმუშევრობის (ერთ წელზე მეტი) მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა, თუმცა, ამავდროულად, შეინიშნებოდა მისი შემცირების ტენდენციაც. მოცემული პერიოდის განმავლობაში გრძელვადიანი უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 40%-ს შეადგენდა.

2020 წელს მოკლევადიანი (ერთ წელზე ნაკლები) უმუშევრობა მკვეთრად გაიზარდა და 67% შეადგინა. აღნიშნული განაპირობა 0-დან 5 თვის ჩათვლით უმუშევრების წილის 11 პპ-ით გაზრდამ. სავარაუდოა, აღნიშნული ცვლილება პანდემიით განპირობებულმა კრიზისმა გამოიწვია, რადგან 2020 წელს ვირუსის გავრცელების შესაჩერებლად დაწესებული შეზღუდვები, სამუშაო ადგილების დროებით დაკარგვაში აისახა. ასევე, სავარაუდოა, რომ 2020 წლის სტატისტიკაზე გავლენა მეთოდოლოგიის შეცლამაც იქონია.

უნდა აღინიშნოს, რომ გრძელვადიანი უმუშევრობის შემცირება ავტომატურად არ გულისხმობს დასაქმების ზრდას. მეტიც, სავარაუდოა, რომ საქართველოში გრძელვადიანად უმუშევარმა ადამიანებმა დატოვეს სამუშაო ძალა, რადგან სამუშაო ძალაში ჩართულობის მაჩვენებელი 2017-2020 წლებში იკლებს.

საინტერესოა საქართველოს უმუშევრობის დონის მაჩვენებლის შედარება აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებთან. შედარებისთვის გამოყენებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემები, რომლებიც შესაძლოა, განსხვავდებოდეს აღნიშნული ქვეყნების ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემებისგან. საქართველოს მონაცემები იდენტურია საქსტატის მონაცემების.

2020 წელს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, სომხეთსა და საქართველოში უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, შესაბამისად 20.2% და 18.5%. აღნიშნულ მონაცემებს მოსდევს უკრაინა 9.5%-ით. მოლდოვაში უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 4.7% დაფიქსირდა, ბელარუსში და აზერბაიჯანში კი 5.2% და 6.2% შესაბამისად.

2017-2019 წლებში, საქართველოში უმუშევრობის დონის, ყველაზე მაღალი, 4 პპ-იანი კლება დაფიქსირდა. საქართველოს მაჩვენებელს მოსდევს უკრაინა და ბელარუსი 1.3 და 0.9 პპ-ით. აღნიშნულ პერიოდში უმუშევრობის დონე მხოლოდ სომხეთში 1.1% პპ-ით და მოლდოვაში 1 პპ-ით გაიზარდა.

COVID-19 კრიზისის გამო, 2020 წელს უმუშევრობის დონე გაიზარდა ყველა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანაში, გარდა მოლდოვისა, სადაც უმუშევრობა 0.39 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ყველაზე მეტად უმუშევრობის დონე სომხეთსა და აზერბაიჯანში გაიზარდა (1.4 პპ-თი). უკრაინასა და საქართველოში კი 1.3 და 0.9 პპ-თი ზრდა დააფიქსირა.



წყარო: საქსტატი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

1chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/viewer.html?pdfurl=https%3A%2F%2Fwww.ndi.org%2Fsites%2Fdefault%2Ffiles%2FNDI%2520Georgia_December%25202020%2520Poll_ENG_FINAL.pdf& clen=4180446&chunk=true
2 https://www.geostat.ge/en/single-news/2006/geostat-introduces-new-standards-in-labour-force-statistics-developed-by-the-international-labour-organization
3 2020 წლის მეთოდოლოგიური შედარება ვერ მოხდა, რადგან საქართველოს სტატისტიკის სამსახურს მხოლოდ ახალი მეთოდოლოგიით დათვლილი მონაცემები აქვს.
3 https://bag.ge/en/advocacy/georgia-outlook
4 აღნიშნული ცვლილებაზე ტენდენციაზე გავლენა შესაძლოა მოახდინა მეთოდოლოგიურმა ცვლილებამ, მაღალი ალბათობით, უფრო მეტი თვითდასაქმებულები გადავიდა უმუშევრების კატეგორიაში, რომელიც სოფლად ცხოვრობდა და დასაქმებულად ითვლებოდა და მხოლოდ სამეალო ან სამეალოზე დაბალი განათლება ჰქონდა, ვიდრე, ისეთი, ვისაც უმაღლესი ან პროფესიული.
6 https://data.oecd.org/emp/employment-by-education-level.htm#indicator-chart

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2017	2018	2019	2020	2021 I კვ.
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16 248.5	17 596.6	17 470.7	15 888.1*	3 400*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 358.5	4 722.0	4 696.2	4 274.6*	912.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.8%	4.8%	5.0%	-6.2%*	-4.5%*
ინფლაცია	6.0%	2.6%	4.9%	5.2%	4.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 978.3	1 306.3	1 310.8*	616.9*	125.4*
უმუშევრობის დონე (%)	21.6%	19.2%	17.6%	18.5%	21.9%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	5 177	5 434	5 741	7 535	7 721
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	22.3%	20.5%	20.19%	19.7%	21.3%

*preliminary data